



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 4 „16“ 02 2022

**დადგენილება № 5**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 35-ე მუხლის მუხლის მე-2 პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი, 49-ე და 51-ე პუნქტების და 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის #51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური საბჭოს 2021 წლის 04 ნოემბრის N40 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგი შემაჯამებელი ოქმის შესაბამისად და აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნონ:

ა) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:

ქეთინო გრძელიშვილი - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია;

დიანა მიქელაძე - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით, ინგლისური ენა;

მარინე შონია - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით, დარგი - თურქული ენა.

ბ) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე:

ია გელაშვილი - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, დარგი/სპეციალობა მენეჯმენტი

ეთერ ნარიმანიშვილი - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, დარგი/სპეციალობა მენეჯმენტი

მაია გელაშვილი - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, დარგი/სპეციალობა ეკონომიკა;

ნანა ჯღარკავა - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, დარგი/სპეციალობა ეკონომიკა;

რაისა ხაჩატურიანი - ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, დარგი/სპეციალობა ეკონომიკა.

გ) ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე:

ზაირა ტყეზუჩავა - აგრონომიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.

თემურ გვარამაძე - აგრონომიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.

დ) იურიდიული ფაკულტეტზე:

ელგუჯა ჭანტურია - ასოცირებული პროფესორის თანამდებობებზე კერძო სამართლის მიმართულებით.


2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება გაეგზავნოს ყველა ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას, დაინტერესებულ პირებს, განთავსდეს ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

4. საფუძველი: საკონკურსო კომისიების 2022 წლის 01 თებერვლის შემაჯამებელი ოქმები.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.№62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, პროფესორი



მაკა ბერიძე